

სს ნიკორა

კონსოლიდირებული შუალედური
არა-აუდირებული
ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 30 ივნისს დასრულებული ექვსი თვისთვის

სარჩევი

| | |
|--|----|
| კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 3 |
| კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება | 6 |
| კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება (გაგრძელება) | 7 |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება | 8 |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება (გაგრძელება) | 9 |
| კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები | 10 |

კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| ათასი ლარი | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი (აუდირებული) | 2019 წლის 30 ივნისი | 2018 წლის 31 დეკემბერი (აუდირებული) |
|--|---------------------------|--|---------------------------|--|
| აქტივები | | | | |
| <i>გრძელვადიანი აქტივები</i> | | | | |
| გუდვილი | 43,618 | 43,618 | 43,618 | 43,618 |
| ძირითადი საშუალებები | 125,447 | 126,834 | 113,038 | 108,803 |
| აქტივების გამოყენების უფლება | 82,782 | 92,885 | 71,117 | - |
| არამატერიალური აქტივები | 2,284 | 2,428 | 2,689 | 2,909 |
| მსხმოიარე ნარგავები | 779 | 516 | 399 | 396 |
| გაცემული სესხები | - | - | 144 | 144 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 10 | 16 | 17 | 14 |
| | <u>254,920</u> | <u>266,297</u> | <u>231,022</u> | <u>155,884</u> |
| <i>მოკლევადიანი აქტივები</i> | | | | |
| მარაგები | 64,784 | 73,800 | 56,577 | 57,876 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 32,965 | 21,315 | 24,717 | 23,273 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 1,517 | 2,466 | 1,452 | 1,495 |
| წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი | - | - | 104 | 182 |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე | 3,302 | 3,620 | 6,140 | 3,175 |
| | <u>102,568</u> | <u>101,201</u> | <u>88,990</u> | <u>86,001</u> |
| სულ აქტივები | <u><u>357,488</u></u> | <u><u>367,498</u></u> | <u><u>320,012</u></u> | <u><u>241,885</u></u> |

კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

| ათასი ლარი | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი (აუდიტირებული) | 2019 წლის 30 ივნისი | 2018 წლის 31 დეკემბერი (აუდიტირებული) |
|---|---------------------------|--|---------------------------|--|
| კაპიტალი და ვალდებულებები | | | | |
| <i>კაპიტალი და რეზერვები</i> | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 24,611 | 24,444 | 24,444 | 25,126 |
| საემისიო კაპიტალი | 35,425 | - | - | - |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | -679 | -1,326 | -1,326 | -1,326 |
| გადაფასების რეზერვი | 19,827 | 19,569 | 12,240 | 12,240 |
| აკუმულირებული მოგება | -5,073 | 24,231 | 25,998 | 24,079 |
| | <u>74,111</u> | <u>66,918</u> | <u>61,356</u> | <u>60,119</u> |
| | | | | |
| არამაკონტროლებელი წილი | 2,617 | 5,898 | 5,566 | 4,053 |
| სულ კაპიტალი | <u>76,728</u> | <u>72,816</u> | <u>66,922</u> | <u>64,172</u> |
| | | | | |
| <i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i> | | | | |
| სესხები | 21,791 | 18,130 | 15,881 | 20,434 |
| ობლიგაციები | 52,793 | 52,754 | 25,000 | 25,000 |
| საიჯარო ვალდებულებები | 81,280 | 86,756 | 77,907 | 0 |
| | <u>155,864</u> | <u>157,640</u> | <u>118,788</u> | <u>45,434</u> |
| | | | | |
| <i>მიმდინარე ვალდებულებები</i> | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 79,958 | 87,999 | 85,914 | 83,112 |
| სესხები | 25,505 | 29,045 | 48,126 | 22,209 |
| ობლიგაციები | 1,253 | 1,302 | 161 | 26,857 |
| საიჯარო ვალდებულებები | 17,735 | 18,251 | - | - |
| სახელშეკრულებო ვალდებულება | 195 | 195 | 101 | 101 |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები | 250 | 250 | - | - |
| | <u>124,896</u> | <u>137,042</u> | <u>134,302</u> | <u>132,279</u> |
| | | | | |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები | <u>357,488</u> | <u>367,498</u> | <u>320,012</u> | <u>241,885</u> |

კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 14 აგვისტოს.

ირაკლი ბოქოლიშვილი
გენერალური დირექტორი

ვასილ სუხიაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ირაკლი გეჯაძე
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)


| ათასი ლარი | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 31 დეკემბერი <small>(აუდიტირებული)</small> | 2019 წლის 30 ივნისი | 2018 წლის 31 დეკემბერი <small>(აუდიტირებული)</small> |
|---|---------------------------|---|---------------------------|---|
| კაპიტალი და ვალდებულებები | | | | |
| <i>კაპიტალი და რეზერვები</i> | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 24,611 | 24,444 | 24,444 | 25,126 |
| საემისიო კაპიტალი | 35,425 | - | - | - |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | -679 | -1,326 | -1,326 | -1,326 |
| გადაფასების რეზერვი | 19,827 | 19,569 | 12,240 | 12,240 |
| აკუმულირებული მოგება | -5,073 | 24,231 | 25,998 | 24,079 |
| | <u>74,111</u> | <u>66,918</u> | <u>61,356</u> | <u>60,119</u> |
| | | | | |
| არამაკონტროლებელი წილი | 2,617 | 5,898 | 5,566 | 4,053 |
| სულ კაპიტალი | <u>76,728</u> | <u>72,816</u> | <u>66,922</u> | <u>64,172</u> |
| | | | | |
| <i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i> | | | | |
| სესხები | 21,791 | 18,130 | 15,881 | 20,434 |
| ობლიგაციები | 52,793 | 52,754 | 25,000 | 25,000 |
| საიჯარო ვალდებულებები | 81,280 | 86,756 | 77,907 | 0 |
| | <u>155,864</u> | <u>157,640</u> | <u>118,788</u> | <u>45,434</u> |
| | | | | |
| <i>მიმდინარე ვალდებულებები</i> | | | | |
| სააჭრო და სხვა ვალდებულებები | 79,958 | 87,999 | 85,914 | 83,112 |
| სესხები | 25,505 | 29,045 | 48,126 | 22,209 |
| ობლიგაციები | 1,253 | 1,302 | 161 | 26,857 |
| საიჯარო ვალდებულებები | 17,735 | 18,251 | - | - |
| სახელშეკრულებო ვალდებულება | 195 | 195 | 101 | 101 |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები | 250 | 250 | - | - |
| | <u>124,896</u> | <u>137,042</u> | <u>134,302</u> | <u>132,279</u> |
| | | | | |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები | <u>357,488</u> | <u>367,498</u> | <u>320,012</u> | <u>241,885</u> |

კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 14 აგვისტოს.

ირაკლი ბოქოლიშვილი
გენერალური დირექტორი



ვასილ სუხიაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



ირაკლი გეჯაძე
ფინანსური დირექტორი



კონსოლიდირებული შუალედური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| ათასი ლარი | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 30 ივნისი |
|--|------------------------|------------------------|
| შემოსავალი | 285,427 | 242,256 |
| რეალიზაციის თვითღირებულება | -199,869 | -168,927 |
| საერთო მოგება | 85,558 | 73,329 |
| სხვა შემოსავალი | 3,694 | 517 |
| დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები | -39,504 | -32,721 |
| ადმინისტრაციული ხარჯები | -34,302 | -28,533 |
| სხვა ხარჯები | -979 | -1,016 |
| შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან | 14,467 | 11,576 |
| ფინანსური ხარჯები | -10,072 | -8,449 |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან | -5,983 | -8,674 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები | -2,066 | -2,312 |
| ზარალი დაბეგვრამდე | -3,654 | -7,859 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | -829 | -1,323 |
| პერიოდის მოგება/(ზარალი) | -4,483 | -9,182 |
| პერიოდის მოგება/(ზარალი) მიკუთვნებული: | | |
| - მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე | -3,837 | -6,826 |
| - არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე | -646 | -2,356 |

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება

| ათასი ლარი | ჩვეულებრივი აქციები | საემისიო კაპიტალი | გამოსყიდული საკუთარი აქციები | გადაფასების რეზერვი | აკუმულირებული მოგება/ (ზარალი) | სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი | არამაკონტროლებელი წილი | სულ |
|-------------------------------------|---------------------|-------------------|------------------------------|---------------------|--------------------------------|--|------------------------|--------|
| 2019 წლის 1 იანვარი | 25,126 | - | -1,326 | 12,240 | 24,079 | 60,119 | 4,053 | 64,172 |
| პერიოდის ზარალი | - | - | - | - | -6,826 | -6,826 | -2,356 | -9,182 |
| გადაფასების ნამეტი | - | - | - | - | - | - | - | - |
| სულ გაერთიანებული შემოსავალი | - | - | - | - | -6,826 | -6,826 | -2,356 | -9,182 |
| შვილობილში წილის რეალიზაცია | - | - | - | - | 11,849 | 11,849 | 3,869 | 15,718 |
| პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა | -682 | - | - | - | - | -682 | - | -682 |
| დივიდენდები | - | - | - | - | -3,104 | -3,104 | - | -3,104 |
| ტრანზაქციები მფლობელებთან | -682 | - | - | - | 8,745 | 8,063 | 3,869 | 11,932 |
| 2019 წლის 30 ივნისი | 24,444 | - | -1,326 | 12,240 | 25,998 | 61,356 | 5,566 | 66,922 |

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება (გაგრძელება)

| ათასი ლარი | ჩვეულებრივი აქციები | საემისიო კაპიტალი | გამოსყიდული საკუთარი აქციები | გადაფასების რეზერვი | აკუმულირებული მოგება/ (ზარალი) | სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი | არამაკონტროლებელი წილი | სულ |
|---------------------------------------|---------------------|-------------------|------------------------------|---------------------|--------------------------------|--|------------------------|--------|
| 2020 წლის 1 იანვარი | 24,444 | - | -1,326 | 19,569 | 24,231 | 66,918 | 5,898 | 72,816 |
| პერიოდის ზარალი | - | - | - | - | -3,837 | -3,837 | -646 | -4,483 |
| გადაფასების ნამეტი | - | - | - | - | - | - | - | - |
| სულ გაერთიანებული შემოსავალი | - | - | - | - | -3,837 | -3,837 | -646 | -4,483 |
| შვილობილში წილის რეალიზაცია | - | - | - | 258 | -22,844 | -22,586 | -2,635 | - |
| გამოსყიდული საკუთარი აქციების გაყიდვა | - | 35,425 | 647 | - | - | 36,072 | - | 36,072 |
| პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა | 167 | - | - | - | - | 167 | - | 167 |
| დივიდენდები | - | - | - | - | -2,623 | -2,623 | - | -2,623 |
| ტრანზაქციები მფლობელებთან | 167 | 35,425 | 647 | 258 | -25,467 | 11,030 | -2,635 | 8,395 |
| 2020 წლის 30 ივნისი | 24,611 | 35,425 | -679 | 19,827 | -5,073 | 74,111 | 2,617 | 76,728 |

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება

| ათასი ლარი | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 30 ივნისი |
|--|------------------------|------------------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პერიოდის მოგება/(ზარალი) | -4,483 | -9,182 |
| <i>კორექტირებები:</i> | | |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 18,509 | 16,562 |
| ფინანსური ხარჯები | 10,072 | 8,449 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 829 | 1,323 |
| მარაგების დანაკარგი | 4,169 | - |
| საექვო მოთხოვნების ხარჯი | - | - |
| ზარალი კურსთაშორისის სხვაობიდან | 5,983 | 8,674 |
| <i>საოპერაციო მოგება საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე</i> | <u>35,079</u> | <u>25,826</u> |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში | 573 | -1,444 |
| ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში | 4,848 | 1,298 |
| ცვლილება სხვა მოკლევადიან აქტივებში | 949 | 121 |
| ცვლილება სხვა ფინანსურ აქტივებში | 6 | - |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში | -7,431 | 3,232 |
| ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებებში | - | - |
| <i>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i> | <u>34,024</u> | <u>29,033</u> |
| გადახდილი პროცენტი | -9,594 | -8,610 |
| გადახდილი მოგების გადასახადი | -1,441 | -1,961 |
| <i>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i> | <u>22,989</u> | <u>18,462</u> |

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული შუალედური ანგარიშგება (გაგრძელება)

| ათასი ლარი | 2020 წლის 30 ივნისი | 2019 წლის 30 ივნისი |
|---|------------------------|------------------------|
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | -12,798 | -12,275 |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | -192 | -60 |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული | - | - |
| არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფული | - | - |
| გაცემულ სესხებიდან მიღებული ფული | - | - |
| მსხმოიარე ნარგავების შეძენა | - | - |
| შვილობილის შესყიდვისთვის გადახდილი ფული | - | - |
| <i>წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო აქტივობებში</i> | <u>-12,990</u> | <u>-12,335</u> |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან | | |
| სესხებიდან მიღებული ფული | -1,650 | 21,525 |
| სესხებზე გადახდილი ფული | - | - |
| ობლიგაციებიდან მიღებული ფული | - | - |
| ობლიგაციებზე გადახდილი ფული | - | -26,696 |
| საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული | -5,991 | -6,710 |
| შვილობილის წილის გაყიდვიდან მიღებული ფული | - | 15,718 |
| გადახდილი დივიდენდები | -2,569 | -2,895 |
| ჩვეულებრივი აქციების გამოსყიდვა | - | - |
| პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა | -107 | -682 |
| <i>წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან</i> | <u>-10,317</u> | <u>260</u> |
| წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულადი ნაკადებისა და ფულის საბანკო ანგარიშებზე | -318 | 6,387 |
| უცხოური ვალუტის გავლენა ფულზე | - | -3,422 |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში | <u>3,620</u> | <u>3,175</u> |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს | <u>3,302</u> | <u>6,140</u> |

კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

სს ნიკორა თავის შვილობილ კომპანიებთან ერთად („ჯგუფი“) არის წამყვანი საკვებ პროდუქტების მწარმოებელი და საცალო გამყიდველი ქართულ ბაზარზე. სს ნიკორა, ჯგუფის მშობელი კომპანია 1998 წელს დაფუძნდა საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მის თავდაპირველ ბიზნეს საქმიანობას ხორც-პროდუქტების წარმოება წარმოადგენდა. კომპანიამ მალევე მოიპოვა მყარი საბაზრო პოზიცია და დააფუძნა რამოდენიმე საწარმო გაყიდვების, დისტრიბუციისა და საკვების წარმოების ინდუსტრიებში.

ჯგუფი აწარმოებს 500-მდე სახეობის პროდუქტს.

სს ნიკორას რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, მ. ქავთარაძის ქუჩა 11.

2. შედგენის საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება არა-აუდიტირებულია და ეფუძნება მენეჯმენტის გათვლებს.

2.1 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ასეთი წარდგენა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში, დამრგვალებულია ათასამდე სიზუსტით.

2.2 შვილობილი კომპანიები

2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

| შვილობილი | წილი % | ქვეყანა | დაარსების თარიღი | საქმიანობის სფერო | შესყიდვის თარიღი |
|-----------------------------|--------|------------|--------------------------|--------------------------------------|--------------------------|
| სს ნიკორა ტრეიდი | 90.11 | საქართველო | 14 აგვისტო, 2006 წელი | საცალო გაყიდვა | 22 დეკემბერი, 2009 წელი |
| შპს ნუგეში | 100 | საქართველო | 18 ივნისი 2010, წელი | საცალო გაყიდვა | 1 ივლისი, 2015 წელი |
| შპს ვაკიჯვრის კალმახი | 90.50 | საქართველო | 15 დეკემბერი, 1995 წელი | კალმახის ფერმა | 13 ნოემბერი, 2006 წელი |
| შპს ოკეანე | 100 | საქართველო | 5 ივნისი, 2008 წელი | თევზის წარმოება | 5 ივნისი, 2008 წელი |
| შპს ინტრეიდი | 100 | საქართველო | 19 სექტემბერი, 2007 წელი | დისტრიბუცია | 19 სექტემბერი, 2007 წელი |
| შპს ინტრეიდი-ფოთი | 100 | საქართველო | 3 ნოემბერი, 2004 წელი | დისტრიბუცია | 3 ნოემბერი, 2004 წელი |
| შპს ნიკორა კახეთი | 100 | საქართველო | 10 მარტი, 2006 წელი | დისტრიბუცია | 10 მარტი, 2006 წელი |
| შპს პარტნიორი | 100 | საქართველო | 2 დეკემბერი, 2014 წელი | დისტრიბუცია | 2 დეკემბერი, 2014 წელი |
| შპს მულტიტრეიდი | 100 | საქართველო | 29 ივნისი, 2009 წელი | იმპორტი | 29 ივნისი, 2009 წელი |
| შპს ნიკორა | 100 | საქართველო | 2 დეკემბერი, 2014 წელი | ხორცის და ნახევარფაბრიკების წარმოება | 2 დეკემბერი, 2014 წელი |
| შპს კორიდა | 100 | საქართველო | 15 მარტი, 2006 წელი | ხორცის წარმოება | 15 მარტი, 2006 წელი |
| შპს ჩვენი ფერმერი | 100 | საქართველო | 5 ივნისი, 2008 წელი | რძის პროდუქტების წარმოება | 5 ივნისი, 2008 წელი |
| შპს მზარეული 1 | 100 | საქართველო | 5 ნოემბერი, 2004 წელი | პურ-პროდუქტების წარმოება | 5 ნოემბერი, 2004 წელი |
| შპს კულინარი | 50 | საქართველო | 5 ივლისი, 2015 წელი | ნახევარფაბრიკების წარმოება | 5 ივლისი, 2015 წელი |
| შპს ნაფარეულის ძველი მარანი | 100 | საქართველო | 25 ივლისი, 2009 წელი | ღვინის წარმოება | 25 ივლისი, 2009 წელი |
| შპს ლაზი | 67 | საქართველო | 4 დეკემბერი, 2014 წელი | არააქტიური | 4 დეკემბერი, 2014 წელი |
| შპს აჩინებული 2005 | 100 | საქართველო | 4 თებერვალი, 2005 წელი | არააქტიური | 4 თებერვალი, 2005 წელი |
| შპს ნიკორა აგრო | 100 | საქართველო | 11 მარტი, 2009 წელი | არააქტიური | 11 მარტი, 2009 წელი |
| შპს კასპი | 50 | საქართველო | 9 მარტი, 2010 წელი | არააქტიური | 9 მარტი, 2010 წელი |
| შპს ცუცხვათი | 100 | საქართველო | 7 მაისი, 2004 წელი | არააქტიური | 7 მაისი, 2004 წელი |
| შპს ნიკორა ბაკურიანი | 50 | საქართველო | 18 დეკემბერი, 2015 წელი | უძრავი ქონება | 18 დეკემბერი, 2015 წელი |
| შპს მილა საქართველო | 50 | საქართველო | 17 ივლისი 2013 | ვაჭრობა | 17 ივლისი 2013 |
| შპს ვებ ტრეიდი | 100 | საქართველო | 13 ივნისი, 2016 წელი | არააქტიური | 13 ივნისი, 2016 წელი |
| კრწანისი 14 | 100 | საქართველო | 27 ივლისი, 2018 წელი | არააქტიური | 10 აგვისტო, 2018 წელი |

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის შუალედური ფინანსური ანგარიშგებები აერთიანებს მშობელ კომპანიასა და მის ყველა შვილობილს 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. ყველა შვილობილი კომპანიისთვის შუალედური საანგარიშგებო თარიღი 30 ივნისია.

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, საწარმოთა გაერთიანებისას, თავდაპირველად აღრიცხება შესყიდვის დღისთვის მათი რეალური ღირებულებით, არამაკონტროლებელი წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი ღირებულება აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობით ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, აღიარდება როგორც გუდვილი. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია ჯგუფის წილზე, შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობით ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, სხვაობის აღიარება ხდება პირდაპირ მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

არამაკონტროლებელი წილი არის წილობრივი მონაწილეობა შვილობილ კომპანიებში, რომელიც არ არის ჯგუფის მფლობელობაში. ანგარიშგების თარიღისთვის, არამაკონტროლებელის წილი წარმოადგენს არამაკონტროლებელი აქციონერების წილს შვილობილი კომპანიების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, შესყიდვის თარიღისთვის, და შესყიდვის თარიღის შემდგომ, უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში. არამაკონტროლებელის მონაწილეობა წარმოადგენილია კაპიტალის მუხლებში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია

ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 30 ივნისისთვის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0552ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.4466 ლარს. (2019 წლის 30 ივნისი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8687ლარი და ერთი ევრო 3.2657 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიზშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალით. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და შესახებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური იჯარით აღებული შენობები ასევე ჩაირთვება ძირითად საშუალებებში. ასეთ აქტივებს ცვეთა ერიცხება მოსალოდნელ სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

| | |
|--|-------------|
| შენობები | - 30 წელი |
| მანქანები და მძიმე ტექნიკა | - 5 წელი |
| ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | - 5 წელი |
| ტრანსპორტი | - 5 წელი |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | - 7-10 წელი |
| სხვა | - 5 წელი |

ვინაიდან მიწის სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, შესაბამისი საბალანსო ღირებულებები ცვეთას არ ექვემდებარება.

3.4 გუდვილი

გუდვილი წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც ინდვიდუალურად არ არის განსაზღვრული და დამოუკიდებლად აღიარებული. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.5 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შექმნილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

3.6 იჯარა

ჯგუფმა გამოიყენა ფასს 16-ის მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, შესაბამისად, შესადარისი ინფორმაცია ხელახლა არ შეფასებულა. რაც გულისხმობს იმას, რომ შესადარისი ინფორმაცია კვლავ ბასს 17-ისა და ფასიკ 4 შესაბამისადაა წარდგენილი.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, რომელიც გაფორმებულია 2019 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ, ჯგუფი განიხილავს არის თუ არა, ან შეიცავს, თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა განიშარტება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების სანაცვლოდ." ამ განმარტების თანახმად, ჯგუფი აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება ჯგუფისთვის.

- აქვს თუ არა ჯგუფს ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან მთლიანი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება აქტივის გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- აქვს თუ არა ჯგუფს იდენტიფიცირებადი აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მისი ფლობის პერიოდში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, ჯგუფის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

ჯგუფი, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. ჯგუფი ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკევებით, ვინაიდან საიჯარო ვალდებულებაც წარდგენილია ცალკე.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრამდე

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ფინანსური იჯარა

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას საიჯარო ხელშეკრულების არსის განხილვისას და გადასცემს თუ არა იგი საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. განხილული ძირითადი ფაქტორები მოიცავს საიჯარო პერიოდის ხანგრძლივობას აქტივის ეკონომიკურ მომსახურების ვადასთან მიმართებაში, მინიმალური საიჯარო გადასახდელების ახლანდელ ღირებულებას აქტივის სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში და გადადის თუ არა მფლობელობა ჯგუფზე იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ.

როდესაც იჯარა მოიცავს მიწას და შენობა-ნაგებობებს, იჯარის მინიმალური გადასახადები პირველად გამოიყოფა თითოეულ კომპონენტზე შესაბამისი საიჯარო პროცენტის სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. შემდეგ, თითოეული კომპონენტი ფასდება ცალ-ცალკე, როგორც განსასაზღვრი ფაქტორი, მიეკუთვნება თუ არა იგი ფინანსური იჯარის ნაწილს, იმის გათვალისწინებით, რომ მიწას, როგორც წესი, განუსაზღვრელი ეკონომიკური მომსახურების ვადა აქვს.

საიჯარო გადახდების საპროცენტო ელემენტი ხვდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური ხარჯები იჯარის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. თუ ჯგუფი მოიჯარეა, გადახდები საოპერაციო იჯარაზე აღიარდება, როგორც ხარჯი, წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა მომსახურებისა და დაზღვევის, აღიარდება პერიოდის ხარჯებად.

3.7 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- ჯგუფის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. ჯგუფის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 25.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხასა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ობლიგაციები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "შეგროვების" ან "შეგროვების და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით. განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები,

რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

კატეგორია ასევე შეიცავს ინვესტიციას კაპიტალში. ჯგუფი აღრიცხავს ინვესტიციას სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და არ აკეთებს შეუქცევად არჩევანს ინვესტიციებისა და სააქციო კაპიტალის რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ინვესტიცია კაპიტალში შეფასებული იყო თვითღირებულებით, რომელიც შემცირებული იყო გაუფასურების ოდენობით შესაფერის პერიოდში ბასს 39-ის მიხედვით, ვინაიდან გაირკვა, რომ ვერ მოხდებოდა მისი სამართლიანი ღირებულების საიმედო შეფასება. 2019 წელს, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ფასს 9-ის მოთხოვნების მიხედვით, რომელიც არ იძლეოდა ინვესტიციის თვითღირებულებით შეფასების უფლებას.

ამ კატეგორიაში, აქტივები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით შემოსავლებთან და დანაკარგებთან ერთად, რომლებიც ხვდებიან მოგება-ზარალში. ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებები, ამ კატეგორიაში, განსაზღვრულია აქტიური ბაზრის მონაცემებით, ან შეფასების ტექნიკის გამოყენებით, როცა აქტიური ბაზარი არ არსებობს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ეპიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული ჯგუფის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად ჯგუფი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს

პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

ჯგუფი აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცილების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

3.10 კაპიტალი

სააქციო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

საემისიო კაპიტალი წარმოადგენს აქციების გამოშვებისას აქციის ნომინალურ ღირებულებაზე ზემოთ გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხებს. აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯები საგადასახადო სარგებლის გამოკლებით გამოიქვითება საემისიო კაპიტალიდან.

სააქციო კაპიტალი მოიცავს არაგამოსყიდვად პრივილეგირებულ აქციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ აქციებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობა განისაზღვრება ემიტენტის შეხედულებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აღირიცხება ვალდებულებად.

სახაზინო აქციები მოიცავს საკუთარ შემენილ ჩვეულებრივ აქციებს.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწის, შენობებისა და მსხმოიარე ნარგავების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას ან ზარალს.

აკუმულირებული მოგება/(ზარალი) მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებებს.

ყველა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის მფლობელებთან, როდესაც ისინი გვეკლინიებიან მფლობელების რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლებში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.11 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას.

3.12 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

ცვლილებები მოგების გადასახადში, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1-ლი იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიცი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (გ) არაფულად გასამრჯელოებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ

ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად ჯგუფს აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.14 შემოსავლის აღიარება

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

ჯგუფი აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ ჯგუფი დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, იგი აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

ჯგუფის საცალო გაყიდვების მიმართულება ახორციელებს ერთგული მომხმარებლის წამახალისებელ პროგრამას. ნიკორას სუპერმარკეტების მომხმარებლებს სთავაზობენ ე.წ. “ბონუს ბარათებს”. ნიკორას სუპერმარკეტში დახარჯულ ყოველ 10 ლარზე ბარათის მფლობელებს საშუალება აქვთ დააგროვონ 10 ბონუს ქულა. 100 ბონუს ქულა შეესაბამება 1 ლარს, რომლითაც ბარათის მფლობელს მომავალში ნიკორას სუპერმარკეტში ნებისმიერი პროდუქტის შეძენის საშუალება აქვს. მოცემული ქულები წარმოადგენს ვალდებულებას ჯგუფისთვის, რადგან ისინი მომხმარებლებს იმ უფლებით უზრუნველყოფენ, რაც მათ მანამდე არ ჰქონდათ. გამოუყენებელი ქულები 2 წლის განმავლობაში მათი არააქტიურობის საფუძველზე უქმდება. ტრანზაქციასთან დაკავშირებული გასაყიდი ფასი იყოფა უფლებად და ვალდებულებად, კონტრაქტში დაფიქსირებული ცალკეული გასაყიდი ფასის საფუძველზე. შემოსავალი აღნიშნული უფლებიდან აღიარდება ბონუს ქულების განაღდებასა და მათი მოქმედების ვადას შორის ადრეული თარიღით.

4. კაპიტალი და რეზერვები

4.1 სააქციო კაპიტალი

აქციონერები 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდენილია ცხრილში:

| აქციონერი | აქციების რაოდენობა | ჩვეულებრივი/ არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული | წილი % | ხმის უფლება % | კაპიტალი ლარში |
|-----------------------|--------------------|--|---------------|---------------|-------------------|
| სუბიაშვილი ვასილი | 1,876,471 | ჩვეულებრივი | 7.62 | 29 | 1,876,471 |
| გუბანოვი ოლეგი | 1,035,293 | ჩვეულებრივი | 4.21 | 16 | 1,035,293 |
| დუმბაძე დავითი | 711,765 | ჩვეულებრივი | 2.89 | 11 | 711,765 |
| სს ნიკორა | 679,421 | ჩვეულებრივი | 2.76 | 10.5 | 679,421 |
| ვასილ ტარადინი | 647,050 | ჩვეულებრივი | 2.63 | 10 | 647,050 |
| ცირეკიძე თალიკო | 582,353 | ჩვეულებრივი | 2.37 | 9 | 582,353 |
| სალუქვაძე მაკა | 420,588 | ჩვეულებრივი | 1.71 | 6.5 | 420,588 |
| ცერცვაძე გურამი | 323,529 | ჩვეულებრივი | 1.31 | 5 | 323,529 |
| ნიკოლაიშვილი ირაკლი | 194,118 | ჩვეულებრივი | 0.79 | 3 | 194,118 |
| გალტ & თაგარტ | 40 | არაგამოსყ. პრივ. | 19.88 | 0 | 4,893,565 |
| Pelican ventures Corp | 20 | არაგამოსყ. პრივ. | 10.94 | 0 | 2,692,200 |
| შპს პარკ კაპიტალი | 20 | არაგამოსყ. პრივ. | 8.25 | 0 | 2,031,600 |
| შპს აგროვინი | 8 | არაგამოსყ. პრივ. | 3.90 | 0 | 960,800 |
| ანჩაბიძე ალექსი | 7 | არაგამოსყ. პრივ. | 3.40 | 0 | 836,325 |
| გაჩეჩილაძე დავითი | 7 | არაგამოსყ. პრივ. | 3.40 | 0 | 836,325 |
| გოჯიაშვილი ზურაბი | 7 | არაგამოსყ. პრივ. | 3.40 | 0 | 836,325 |
| ვანანაძე გიორგი | 6 | არაგამოსყ. პრივ. | 2.08 | 0 | 512,025 |
| მაზიაშვილი არჩილი | 6 | არაგამოსყ. პრივ. | 2.02 | 0 | 498,060 |
| ფიჩხაია თამარი | 4 | არაგამოსყ. პრივ. | 1.97 | 0 | 485,025 |
| ემუხვარი თამარი | 4 | არაგამოსყ. პრივ. | 1.86 | 0 | 458,640 |
| ცერცვაძე გურამი | 4 | არაგამოსყ. პრივ. | 1.83 | 0 | 450,420 |
| ცერცვაძე ეკა | 3 | არაგამოსყ. პრივ. | 1.41 | 0 | 347,865 |
| ბოქოლიშვილი ირაკლი | 3 | არაგამოსყ. პრივ. | 1.37 | 0 | 337,815 |
| ამბროლაძე მურმანი | 4 | არაგამოსყ. პრივ. | 1.35 | 0 | 332,040 |
| დუმბაძე დავითი | 4 | არაგამოსყ. პრივ. | 1.35 | 0 | 331,100 |
| ნოვიკოვი ვლადიმერ | 2 | არაგამოსყ. პრივ. | 1.13 | 0 | 279,280 |
| სუბიაშვილი ვასილი | 2 | არაგამოსყ. პრივ. | 0.97 | 0 | 238,760 |
| ცაავა დავითი | 2 | არაგამოსყ. პრივ. | 0.92 | 0 | 225,210 |
| კიკნაძე ნოდარი | 1 | არაგამოსყ. პრივ. | 0.51 | 0 | 124,515 |
| გვაზავა ოთარი | 1 | არაგამოსყ. პრივ. | 0.49 | 0 | 119,380 |
| ნარეშელაშვილი ირაკლი | 1 | არაგამოსყ. პრივ. | 0.48 | 0 | 117,405 |
| ნიკოლაიშვილი ირაკლი | 1 | არაგამოსყ. პრივ. | 0.46 | 0 | 112,605 |
| ჯანჯღავა ივანე | 1 | არაგამოსყ. პრივ. | 0.34 | 0 | 83,190 |
| სს ნიკორა | 13 | არაგამოსყ. პრივ. | 0 | 0 | 0 |
| | <u>6,470,759</u> | | <u>100.00</u> | <u>100.00</u> | <u>24,611,063</u> |

ჯგუფის სათაო კომპანიის, სს ნიკორას, სააქციო კაპიტალი 2020 წლის 30 ივნისისთვის მოიცავს 6,471 ათას ცალ ჩვეულებრივ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 171 ცალ პრივილეგირებულ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით, სულ სააქციო კაპიტალი შეადგენს 24,611 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: 24,444 ათასი ლარი).

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

4.2 გამოსყიდული საკუთარი აქციები

2020 წლის 30 ივნისისთვის ჯგუფს გამოსყიდული აქვს 679 ათასი საკუთარი ჩვეულებრივი აქცია (2019 წლის 31 დეკემბრისთვის 1,326 ათასი ცალი), რომლებიც აღრიცხულია მთლიანი ნომინალური ღირებულებით 679 ათასი ლარი. 2020 წლის მარტში ჯგუფმა მოახდინა გამოსყიდული საკუთარი აქციების ნაწილის ხელახალი გაყიდვა: აქციების ნომინალზე ნამეტი თანხა აღირიცხა როგორც საემისიო კაპიტალის ზრდა კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში.

5. ობლიგაციები

2019 წლის 28 ივნისს, სს ნიკორამ დააკმაყოფილა ვალდებულებები ჯგუფის ობლიგაციების მფლობელების მიმართ 30,045 ათასი ლარის ოდენობით.

2019 წლის 18 ოქტომბერს, საბროკერო კომპანია შპს “თიბისი კაპიტალმა”, როგორც საბროკერო აგენტმა, სს “ნიკორასთვის” გამოუშვა 28 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. ობლიგაციებს ერიცხება წლიური 4%-პთვის TIBR (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 11.16%) და ვადიანობა შეადგენს 3 წელს. პროცენტის გადახდა წარმოებს კვარტალურად.

სს ნიკორას ობლიგაციების კონტრაქტი ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული შემზღუდველი ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილებას, კერძოდ, 31 დეკემბრისთვის დასრულებული აუდიტებული და 30 ივნისისთვის დასრულებული არა-აუდიტებული კალენდარული წლისთვის:

- 1) DEBT/EBITDA- კოეფიციენტმა არ უნდა შეადგინოს 3.5-ზე მეტი
- 2) ICR- კოეფიციენტი არ უნდა იყოს 2.8-ზე ნაკლები
- 3) DSCR - კოეფიციენტი არ უნდა იყოს 1.1-ზე ნაკლები.

კოეფიციენტები იანგარიშება სს ნიკორას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით. 2020 წლის 30 ივნისისთვის დასრულებული არა-აუდიტებული კალენდარული წლისთვის ჯგუფი აკმაყოფილებს ყველა კოეფიციენტს.

6. ცვლილებები მმართველობით და სამეთვალყურეო საბჭოში

საანგარიშო პერიოდში (01/01/2020-30/06/2020) მმართველობით და წარმომადგენლობით ორგანოებში ცვლილებები არ მომხდარა.